ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

დანართი №5

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სახე მისი მისიიდან გამომდინარე იქნება:

☐ პროფესიული კოლეჯი

☐ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში დაწესებულების სურვილიაგანახორციელოს:

☐ პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

■ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

■ მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

■ მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ სხვა საგანმანათლებლო პროგრამა (მხოლოდ საზოგადოებრივი კოლეჯის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ნინო ფეტვიაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ნატო ალავიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ვანო ოთხოზორია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

II. დაწესებულების მისია

*შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა:*

რეგიონის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების, დემოკრატიული და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრი. ინსპირირება გაუკეთოს ოპტიმიზმისა და მომავლის რწმენის ჩამოყალიბებას, შექმნას ხარისხი და განსხვავებული ეფექტი, გახდეს განათლების სფეროში რეგიონული ცენტრი, დამსაქმებლებსა და დასაქმებულებისთვის განიხილებოდეს, როგორც ყველაზე სასურველი პარტნიორი, იყოს ადგილი, სადაც დასაქმებული ადამიანები შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალიზაციას, გახდეს რეგიონში ეკონომიკური მიზიდულობის ცენტრი, სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვისა და მიღებული შემოსავლებით აკადემიური სწავლება გაუთანაბროს ევროპულ სტანდარტებს, იყოს მაღალეფექტური, მოქნილი და სწრაფად განვითარებადი სასწავლებელი.

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შეფასება:

ექსპერტთა ჯგუფს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ, გადმოეგზავნა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, 2017 წლის 31 ივლისის შემდეგ ცენტრში შემოსული წერილები და მათზე თანდართული დოკუმენტაცია. კერძოდ:

1. 2017 წლის 31 ივლისის №01-08/70 წერილი, რომელსაც ახლდა დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში, რომლითაც მოითხოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებაში „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" - 2017 წლის 5 მაისს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად.

2. 2017 წლის 17 აგვისტოს №01-08/73, თვითშეფასების წლიური ანგარიშის დამატებითი ინფორმაცია, რომლითაც წარმოადგინეს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა საშემოდგომო მიღებაზე, დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;

3. 2017 წლის 21 აგვისტოს №01-08/76 წერილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობის მიხედვით თანხების გადახდის დაზუსტების შესახებ. კერძოდ, წინა წერილებში მითითებული 4 საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის ნაცვლად დაწესებულებას სურს დაიმატოს 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და გადაიხადოს შესაბამის თანხა. დაწესდებულების ინფორმაცია განსახორციელებელი პროგრამების დაზუსტების შესახებ, ეყრდნობა ცენტრის დირექტორის 2017 წლის 7 აგვისტოს №475 და №480 ბრძანებებს ახალი ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

4. 2017 წლის 13 სექტემბრის №02-08/137 წერილთ დაწესებულემამ დააზუსტა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდონობა, კერძოდ, სურს განახორციელოს 3 პროგრამა.

5. 2017 წლის 27 სექტემბრის №06-08/91 წერილით დაწესებულებამ მოდიფიცერებული სახით, წარმოდგინა აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 სექტემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

ბოლო, 2017 წლის 27 სექტემბრის წერილის №,06-08/91, თანახმად სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს სურვილი აქვს დაიმატოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შემდეგი პროგრამები: „ბუღალტრული აღრიცხვა" (მეხუთე საფეხური), „ინფორმაციის ტექნოლოგია" (მესამე საფეხური), „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი" (მეხუთე საფეხური). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 სექტემბრის №42 დადგენილებით. გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 სექტემბრის №45 დადგენილება (დანართი №1) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და მათ დანართებში ტექნიკური უზუსტობის გასწორების, ცვლილებების შეტანისა და მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შედგება ჩარჩო დოკუმენტებისა და მოდულების ადაპტირებული ვერსიებისგან. აღნიშნულ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები; პროგრამის მიზანი; სწავლის შედეგები; პროგრამის მოცულობა კრედიტებში და ხანგრძლივობა. ასევე, პროგრამაში წარმოდგენილია ზოგადი, სავალდებულო და არჩევითი პროფესიული მოდულების ჩამონათვალი. საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს: მოდულები, ინფორმაცია საგანამანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ; სასწავლო გეგმა (პროგრამის განხორციელების დინამიკის ცხრილი, გადანაწილებული კვირების მიხედვით), რომელშიც ასახულია მოდულების განხორციელების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

თანმიმდევრობა. სასწავლო გეგმა შედგენილია მოდულების წინაპირობების, სტუდენტთა კვირეული დატვირთვის (არა უმეტეს 40 საათი კვირაში) გათვალისწინებით.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესის" $4^1$-ე მუხლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში", და ასევე, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებითა და მოდულებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროგრამების, „ბუღალტრული აღრიცხვა" (მეხუთე საფეხური), „ინფორმაციის ტექნოლოგია" (მესამე საფეხური), „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი" (მეხუთე საფეხური), საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის რეალიზებისათვის გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები შემდეგ დაწესებულებებთან.

*„ინფორმაციის ტექნოლოგია" და „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი"*

1. შპს „ორდუ ნეტი" (ზუგდიდი);
2. შპს „ახალი ქსელები" (ზუგდიდი);
3. შპს „ვისტა" (სენაკი);
4. შპს „ნოულეიჯ" (სენაკი);

„ბუღალტრული აღრიცხვა"

1. ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიცეპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919" (ზუგდიდი);
2. აუდიტორული ფირმა შპს „პულსი 21" (ზუგდიდი);
3. ი.მ. ეკატერინე შულაია (ზუგდიდი);
4. შპს „ტერმინალი" სამშენებლო კომპანია (ზუგდიდი);
5. აუდიტორული ფირმა „ფინსერვისი"(ზუგდიდი);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________

ბ.ა.

6. სსიპ ზუგდიდის მე-5 საჯარო სკოლა (ზუგდიდი);

7. შპს „მ.გ.მ/“ სამშენებლო კომპანია (ზუგდიდი);

8. შპს „სასტუმრო ანაკლია“ (ზუგდიდი);

9. ი.მ. ცანავა პაატა (სენაკი);

10. შპს „გვაზა“(სენაკი);

11. შპს „დაგი“ - (სენაკი);

12. ინდმეწარმე მატალია ჩაჩიბაია რესტორანი „ოსკარი“ (სენაკი).

ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის წარმართვის წესი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა.

ვიზიტის მეორე სამუშაო დღეს ექსპერტების მიერ მოხდა ქ.ზუგდიდსა და ქ.სენაკში პრაქტიკის ობიექტების, კერძოდ, შპს „ორდუ ნეტის“; აუდიტორული ფირმა შპს „პულსი 21-ის“ (ზუგდიდში); შპს „ვისტას“ (სენაკი) ადგილზე დათვალიერება. შესაძლებელი გახდა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მასწავლებლებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. აღნიშნული დაწესებულებების წარმომადგენლებმა დაადასტურეს კოლეჯთან თანამშრომლობა, საწარმოო პრაქტიკის განხორციელების გზები. დაწესებულების პასუხისმგებელმა პირებმა წარმოადგინეს საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯი ახორციელებს 29 პროფესიულ საგანმანათლებლო მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელების უფლების მოპოვება სურს დაწესებულებას:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის წარმართვა შესაძლებელია ორ ცვლაში 148 სტუდენტით, რაც არ აჭარბებს სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას (1000 პროფესიულ სტუდენტს)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბუღალტრული აღრიცხვა | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411 | 99 | 129 | ქართული | 40 | ზუგდიდი |
| | | | | | | | 40 | სენაკი |
| 2 | ინფორმაციის ტექნოლოგია | მესამე | მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 06112 | 60 | 75 | ქართული | 20 | ზუგდიდი |
| | | | | | | | 20 | სენაკი |
| 3 | კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი | მეხუთე | კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 121 | 151 | ქართული | 28 | ზუგდიდი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 06102 | | | | | |
| ჯამური რაოდენობა | | | | | | | 148 | |

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 18 ნოემბრის №34 გადაწყვეტილების საფუძველზე.

დასტურდება:

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №42 დადგენილებით;
- აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 სექტემბრის №45 დადგენილებით - ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და მათ დანართებში ტექნიკური უზუსტობის გასწორების, ცვლილებების შეტანისა და მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ;
- დანართი N1 (2 ფურცლად) -2017 წლის 30 სექტემბრის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №45 ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და მათ დანართებში ტექნიკური უზუსტობის გასწორების, ცვლილებების შეტანისა და მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით N 34 (18.11.2015);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პრაქტიკის ობიექტის დათვალიერებით და მათ წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- დაწესებულების ვებ-გვერდით.

1.1 ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულიაინფორმაციადაწესებულების,მისანიჭებელიკვალიფიკაციების,შესაბამისისაგანმანათლებლოპ როგრამებისმიზნების,სწავლისშედეგების,კრედიტებისადაშეფასებისწესისშესახებ

შეფასება:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე http://www.zssu.ge/zssu2/. კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაციას, დაწესებულების მისიას, პროფესიული პროგრამების (მათ შორის მოდულურის) მიზნებს, საფეხურებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციებს, მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლების ენას, დაშვების წინაპირობას, სწავლის შედეგებს, დასაქმების სფეროებსა და პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასებას. ვინაიდან დაწესებულების მიერ წარმოადგენილი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ავტორიზებული არ არის, კატალოგში ისინი დაანონსებულია სიახლეების ნაწილში.

დასტურდება:

- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით;
- ვებ-გვერდით http://www.zssu.ge/zssu2/

1.2 ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტს

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროგრამების: „ბუღალტრული აღრიცხვის“, „ინფორმაციის ტექნოლოგისა“ და „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებსა და შესაბამის პროფესიულ სტანდარტებს.

დასტურდება:

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №42 დადგენილებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებითა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტებით.

1.3. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

შეფასება:

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები განსაზღვრულია დაწესებულების პროფესიულ პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რომელიც დამტკიცებულია სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 04 სექტემბრის № 37 დადგენილებით და განთავსებულია ვებგვერდზე http://www.zssu.ge/zssu2/ . სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით (მუხლი 5) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ზოგადი განათლების საბაზო/სრული საფეხურის დაძლევა, პროფესიული ტესტირების შედეგად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პირველად და შემდგომ საფეხურზე, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ პირველად საფეხურზე აპლიკანტთა განაწილების მიზნით შექმნილი რანჟირების დოკუმენტი და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება. მუხლი 8 განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა/შეჩერება/აღდგენის წესებს, ხოლო მუხლი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ___________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ___________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ___________

ბ.ა.

4-ში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, რომლის თანახმად სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა); არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის დადგენილი წესით; სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

დასტურდება:

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 04 სექტემბრის № 37 დადგენილებით მიღებული პროფესიულ პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ვებგვერდით http://www.zssu.ge/zssu2/ .

*1.4 ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია*

**1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.**

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც გაწერილია დაწესებულების პროფესიულ პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (მუხლი 7). პროფესიული პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაძლებელია შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება სასწავლო უნივერსიტეტის ალტერნატიულ საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამაზე ან სტუდენტის მიერ მობილობის განხორციელება შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პარტნიორი სასწავლო დაწესებულებების ალტერნატიულ პროფესიულ პროგრამებზე, რომლებთანაც სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროგრამების „ბუღალტრული აღრიცხვის", „ინფორმაციის ტექნოლოგისა" და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

„კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის“ გაუქმების შემთხვევაში მობილობის განსახორციელებლად სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს დადებული აქვს მემორანდუმი სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღასთან“.

დასტურდება:

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 04 სექტემბრის № 37 დადგენილებით მიღებული პროფესიულ პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ვებგვერდით http://www.zssu.ge/zssu2/ ;
- გაფორმებული მემორანდუმით სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღასთან“.

1.5 ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

**1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

შეფასება:

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, კერძოდ, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ეფექტურად ჩართულია ყველა რგოლი. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტურად განსახორციელებლად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსის არსებობას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას, რაც ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმებში, კითხვარებში, ანალიზის შედეგებში და ყოველწლიურ ანგარიშებში. დაწესებულების ხელმძღვანელობა შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. შეფასების შედეგები გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასების სისტემა, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და მონიტორინგის შედეგებს ითვალისწინებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. შემუშავებულია პროფესიული პროგრამების შეფასების წესი, რომელიც მოიცავს პროგრამის განმახორციელებელი და ხელშემწყობი ადამიანური რესურსის, გამოყენებული სასწავლო მასალის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. დაწესებულება პერიოდულად ახდენს მის მიერ მიწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასებას, რაც გაწერილია ხარისხის სამსახურის ყოველწლიურ გეგმებში და შედეგები წარმოდგენილია ამავე სამსახურის ანგარიშებში. შეფასების შედეგების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები კი გამოიყენება მათი შემდგომი განვითარებისთვის.

დასტურდება:

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასების წესით - დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ №205 დადგენილებით;
- პროფესიულ სტუდენტთა მიერ მასწავლებლისა და საგნის/მოდულის შეფასების ფორმით;
- პროფესიულ სტუდენტთა მიერ მასწავლებლისა და საგნის/მოდულის შეფასების ფორმით;
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამახურის სამოქმედო გეგმით;
- ვებგვერდით http://www.zssu.ge/zssu2/ .

1.6. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

1. სტანდარტი- საგანმანათლებლო პროგრამები - დაკმაყოფილებულია

2. მატერიალური რესურსი

2.1. დაწესებულებას საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

შეფასება:

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისამართია ქ.ზუგდიდი, ჯანაშიას N14 (საკადასტრო კოდი 43.31.61.060) და ქ.სენაკი, მშვიდობის N 192 (საკადასტრო კოდი 44.01.30.077). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობების ფართია:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1. | ქ.ზუგდიდი, ჯანაშიას №14 | 6316, 84 კვ.მ. |
| 2. | ქ. სენაკი, მშვიდობის №192 | 18063 კვ.მ |

დასტურდება:

- ფართის ფლობის შესახებ საიჯარო ხელშეკრულებით და ნახაზით;
- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ბ)სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

შეფასება:

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროგრამებისთვის გამოყოფილია აუდიტორიები შესაბამისი ინვენტარითა და აღჭურვილობით.

კერძოდ, ზუგდიდში:

"კომპიუტერის ქსელის ადმინისტრირებისთვის" გამოყოფილია №226 აუდიტორია ფართით 57.29 კვ.მ., რომელიც ასრულებს A და B გარემოს ფუნქციას. აუდიტორია უზრუნველყოფილია ადგილითა და ინტერნეტქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერით 14 სტუდენტისთვის, პროექტორით, კომპიუტერით პედაგოგისთვის. აუდიტორიაში განთავსებულია სასწავლო პროგრამის მოდულების განხორციელებისთვის საჭირო ყველა მატერიალური რესურსი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

"ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილია №225 აუდიტორია ფართით 57.29 კვ.მ., რომელიც ასრულებს **A და B** გარემოს ფუნქციას. აუდიტორია უზრუნველყოფილია ადგილითა და ინტერნეტქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერით 20 **სტუდენტისთვის**, რომლებშიც ჩატვირთულია პროფესიის განხორციელებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის დემოვერსიები. აუდიტორიაში დგას პროექტორი, კომპიუტერი პედაგოგისთვის. აუდიტორიაში განთავსებულია სასწავლო პროგრამის მოდულების განხორციელებისთვის საჭირო ყველა მატერიალური რესურსი.

"ინფორმაციის ტექნოლოგის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილია №213 აუდიტორია ფართით 57.41 კვ.მ., რომელიც ასრულებს **A და B** გარემოს ფუნქციას. აუდიტორია უზრუნველყოფილია ადგილითა და ინტერნეტქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერით 20 **სტუდენტისთვის**, კომპიუტერით დემონსტრირებისთვის, ასევე, მაგიდა კომპიუტერის დაშლა-აწყობის სადემონსტრაციოდ. აუდიტორიაში არსებულ კარადებში განთავსებულია კომპიუტერის მაკომპლექტებელი ნაწილები და კომპიუტერთან მუშაობისთვის საჭირო ინსტრუმენტები. აუდიტორიაში დგას პროექტორი, კომპიუტერი პედაგოგისთვის.

ქ. სენაკში:

"ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილია №209 აუდიტორია ფართით 44.40 კვ.მ, რომელიც ასრულებს **A და B** გარემოს ფუნქციას. აუდიტორია უზრუნველყოფილია ადგილითა და ინტერნეტქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერით 20 **სტუდენტისთვის**, რომლებშიც ჩატვირთულია პროფესიის განხორციელებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის დემოვერსიები. აუდიტორიაში დგას პროექტორი, კომპიუტერი პედაგოგისთვის. აუდიტორიაში განთავსებულია სასწავლო პროგრამის მოდულების განხორციელებისთვის საჭირო ყველა მატერიალური რესურსი.

"ინფორმაციის ტექნოლოგის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილია №208 აუდიტორია ფართით 45.90 კვ.მ., რომელიც ასრულებს A და B გარემოს ფუნქციას. აუდიტორია უზრუნველყოფილია ადგილითა და ინტერნეტქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერით 20 **სტუდენტისთვის**, კომპიუტერით დემონსტრირებისთვის, ასევე მაგიდა კომპიუტერის დაშლა-აწყობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

სადემონსტრაციოდ. აუდიტორიაში არსებულ კარადებში განთავსებულია კომპიუტერის მაკომპლექტებელი ნაწილები და კომპიუტერთან მუშაობისთვის საჭირო ინსტრუმენტები. აუდიტორიაში დგას პროექტორი, კომპიუტერი პედაგოგისთვის.

„ინფორმაციის ტექნოლოგის" სასწავლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მასალები და აღჭურვილობა საკმარისია სწავლის შედეგების მიღწევისთვის, *თუმცა დაწესებულებას ექსპერტების მიერ ადგილზე იქნა გაცემული რეკომენდაცია დამატებითი მატერიალური რესურსის ჩამონათვალისა და რაოდენობის სახით. სასწავლო პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები დაეთანხმნენ ექსპერტების რეკომენდაციებს და გამოთქვეს მზადყოფნა სატენდერო დოკუმენტაციაში ასახონ შესაძენი მატერიალური რესურსი და შესაბამისი დოკუმენტაცია.*

| დასახელება | საჭირო რაოდენობა | ერთეული |
|---|---|---|
| სამაჯური და სადენი (Electrostatic discharge (ESD)) | 3 | ცალი |
| ანტისტატიკური ხალიჩა Anti-Static ESD Mat Kit With Ground Cord (1000მმ x 600მმ) | 1 | ცალი |
| USB ტიპის ინტერფეისის მქონე უსადენო ქსელის ადაპტერი | 3 | ცალი |

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა 2017 წლის 2 აგვისტოს №02-01/16 ბრძანება - საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო მასალებისა და აღჭურვილობის (ტენდერითა და გამარტივებული წესით) შესყიდვების მიზნით „ინფორმაციის ტექნოლოგისა" და „მეფუტკრის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესაძენად სატენდერო წინადადების მომზადების შესახებ (დანართი N 2).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

დოკუმენტში დადასტურებულია ფულადი სახსრების არსებობა, შეძენის მზაობა და პროცესის გაკონტროლების პასუხისმგებლობა სასწავლებლის ადმინისტრაციის მხრიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის წარმართვა შესაძლებელია ორ ცვლაში შემდეგი რაოდენობებით:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბუღალტრული აღრიცხვა | მეხუთე | 40 | ზუგდიდი |
| | | | 40 | სენაკი |
| 2 | ინფორმაციის ტექნოლოგია | მესამე | 20 | ზუგდიდი |
| | | | 20 | სენაკი |
| 3 | კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი | მეხუთე | 28 | ზუგდიდი |
| 4 | სულ | | 148 | |

დაწესებულებამ წარმოადგინა „საგანმანათლებლო სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის შემადგენელი მეთოდოლოგიები", თუმცა, თავად მექანიზმი არ არის ფორმალიზებული. პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს დაწესებულების რესურსებს, მაგრამ *არ მოიცავს მის მიერ დადგენილ სათანადო ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს, თუმცა ინტერვიურებით დგინდება, რომ რეალურად მათი გათვალისწინება ხდება. რეკომენდებულია,* სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები მოიცავდეს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვას; ფორმალიზებულ იქნას სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელსაც დაწესებულება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______

ბ.ა.

ახორციელებს განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად და წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ზედნადებებით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- დანართი N 2 (2 ფურცლად) - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2017 წლის 2 აგვისტოს ბრძანება N02-01/16 სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების შესახებ

2.1 . ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ყველა სასწავლო ოთახში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

დასტურდება:

- ვიზუალური დათალიერებით;

2.2. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისეელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

შეფასება:

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო, ზოგადი და არჩევითი პროფესიული მოდულებიდან, შერჩევითად, გადამოწმებულ იქნა მოდულებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა. ყველა სასწავლო რესურსი/სახელმძღვანელო არის ბიბლიოთეკაში, თუმცა ზოგიერთი მითითებული რესურსი ელექტრონულ ფორმატში ჩაწერილი იყო სასწავლო გარემოში დამონტაჟებულ სტუდენტების კომპიუტერებში და არ იყო ჩატვირთული ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. ვიზიტის პერიოდში მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსები ჩაწერილ იქნა კომპაქტ-დისკებზე და გატარდა შესაბამისი წესით ბიბლიოთეკის ჟურნალში. ამავდროულად ჩასწორდა ჩანაწერები მოდულის ჩარჩოში და რესურსის გასწვრივ მიწერილ იქნა ჩანაწერი - ელ. ვერსია. ბეჭდური სახელმძღვანელოები გატარებულია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საინვენტარიზაციო წიგნში არსებული წესით.

ბიბლიოთეკაში არსებობს ანბანური და ელექტრონული კატალოგები. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები, ბიბლიოთეკის მუშაობას არეგულირებს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე.

დასტურდება:

- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით;
- CD დისკებზე ჩატვირთული ელექტრონული რესურსებით;
- წიგნადი ფონდის საინვენტარიზაცი წიგნით;
- მოდულებში მითითებული ბეჭდური და ელექტრონული რესურსების ბიბლიოთეკაში არსებულ რესურსებთან შედარებით;
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით

2.3. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

შეფასება:

დაწესებულება აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ზუგდიდსა და სენაკში ფუნქციონირებს 10 კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 300-მდე კომპიუტერი. კომპიუტერები გამოყოფილია ადმინისტრაციისათვის, სტუდენტებისათვის, დანარჩენი განთავსებულია აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკაში, რომლითაც სარგებლობის უფლება აქვთ სტუდენტებს, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას. შენობებში ხელმისაწვდომია ინტერნეტი.

2.4. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ჩუქებისა და შესყიდვების აქტებით.

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს კანცელარიის დებულება, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

დასტურდება:

- საქმისწარმოების ერთიანი წესით;
- სარეგისტრაციო ჟურნალებით;

2.5. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

____________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

დაწესებულების შენობებში მოწყობილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ასევე, დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრები. შენობებში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმები. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ექიმი. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტებითა და შესაბამისი ინვენტარით. დაწესებულებას იცავს სახელმწიფო დაცვის პოლიცია. შესაბამისად, დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.

დასტურდება:

- ხანძარსაწინააღმდეგო, სამედიცინო ინვენტარით/აღჭურვილობით;
- საევაკუაციო გეგმებით;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ფინანსური დოკუმენეტაციით

2.6 ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

შეფასება:

შენობები უზრუნველყოფილია ადაპტირებული გარემოთი, სსსმ პირთათვის პირველ სართულზე არის პანდუსი. შენობებში განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილები.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. [signature]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. [signature]
[signature]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

2.7 ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

შეფასება:
დაწესებულებას აქვს საკუთარი ვებ-გვერდი: http://www.zssu.ge/zssu2/node/36. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი. შესაბამისად, ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

დასტურდება:

- დაწესებულების ვებ-გვერდით http://www.zssu.ge/zssu2/node/36

2.8. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:
დაწესებულებაში არსებობს სტრატეგიული განვითარების მოქმედი (2013-2019) გეგმა და ასევე, განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი (2016-2023); აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულია დადგენილება №38; 26.12.201 - „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

უნივერსიტეტის მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის განხილვისა და შემდგომი დავალებების გაცემის შესახებ"), რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის მისიას, უნივერსიტეტის ხედვასა და პრიორიტეტებს. საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროგრამა (აკადემიური და პროფესიული) პროფესიული განათლების განვითარების პროგრამა, (სადაც წარმოდგენილია ამ მიმართულებით პროგრამის მიზანი, ამოცანები, გასატარებელი ღონისძიებები, პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები და პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფის ჩამონათვალი) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია მხოლოდ 2013-2014 წლის სამოქმედო გეგმა, თუმცა, დაწესებულებამ ადგილზე წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული 2017-2018 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ადმინისტრაციის წარმომადგენლის განმარტებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ყოველწლიური გეგმა, იმავდროულად წარმოადგენს დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმას. ასევე, სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულების ანგარიშის წარდგენა ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რასაც ადასტურებს კიდეც წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები (არცმ ოქმედი და არც ამ ეტაპზე განხილვისთვის მიღებული) არ მოიცავს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვას (მათ შორის, პროფესიული სტუდენტების): თუ როგორ აქვთ გათვალისწინებული სტუდენტების კონტიგენტის ზრდა, რომელ საფეხურზე/საგანმანათლებლო პროგრამაზე, თუმცა, დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - „საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შერჩევა/შემუშავებისა და სტუდენტთა ადგილების განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომელშიც წარმოდგენილია გასათვალისწინებელი მეთოდოლოგიები (რეგიონის განვითარების გეგმა, შრომის ბაზრის მოთხოვნების დადგენა, შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლი, დამსაქმებლის დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირათა დასაქმების მიმართ, სასწავლო A, B და C გარემო; საგანმანათლებლო რესურსები და ადამიანური რესურსები), განსახორციელებელი აქტივობები და მტკიცებულებები, *თუმცა ეს დოკუმენტი არ მოიცავს ინდიკატორებს, სამიზნე ნიშნულებსა და შესრულების მონიტორინგის კონკრეტულ მექანიზმებს.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

*დაწესებულებას არა აქვს ფორმალიზებული წესით გაწერილი შიდა რეგულაციები და პროცედურები, რომლის შესაბამისად განახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო რეაგირებას მოახდენს შეფასების შედეგებზე.*

დაწესებულება ზოგადად ახორციელებს შესრულებული სამუშაოს ანგარიშგებას შესაბამისი სამსახურების მიხედვით. დაწესებულებამ წარმოადგინა შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მაგ. პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ანალიზი შესრულებული სამუშაოს შესახებ; წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშის შესახებ, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათი - 2016 წლის შიდა აუდიტის დასკვნის შესახებ) და სხვა, *თუმცა, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ერთიანი შეფასებისა და ანალიზის დოკუმენტი (დასკვნა/ანგარიში ან რაიმე სხვა) და შეფასების შედეგებზე სათანადოდ რეაგირების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოდგენილი ვერ იქნა.*

*საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან ინტერვიურებით დასტურდება, რომ აღმიშნული მონიტორინგი ტარდება და შესაბამისი რეაგირებაც ხორციელდება, თუმცა, ანგარიშები გაბნეულია სხვადასხვა დოკუმენტაციებში (მათ შორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტებში და ზემოთ მოც. სხვა დოკუმენტაციაში).*

რაც შეეხება სტუდენტებისა და მათი მხარდაჭერის ღონისძიებებსა და სერვისების ხელმისაწვდომობას, დაწესებულებაში ფუნქციონირებს კარიერის განვითარების ცენტრი - მხარდაჭერის სერვისი, სადაც პროფესიული სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ცენტრი საკუთარი დებულების ფარგლებში ახორციელებს სტუდენტების მხარდაჭერას კარიერული სერვისების მიწოდების მხრივ, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განივითარონ დასაქმებისათვის საჭირო უნარები და გაამდიდრონ გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს მათ თვითრეალიზაციას კარიერული წინსვლის პროცესში. ეხმარება სტუდენტებს საკუთარი ინტერესების, ღირებულებების, პიროვნული მახასიათებლების, უნარებისა და პროფესიული შესაძლებლობების ძიებაში; აახლოვებს სტუდენტებს დამსაქმებლებთან, რაც მათ პროფესიული მიზნების მიღწევაში ეხმარება და ზრდის სტუდენტთა შრომის ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

____________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

ექსპერტების რეკომენდაციაა

- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები მოიცავდეს უსდ-ს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვას;
- ფორმალიზებულ იქნას სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელსაც დაწესებულება ახორციელებს განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად და წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები.
- დაწესებულებას ფორმალიზებული ჰქონდეს შიდა რეგულაციები და პროცედურები, რომლის შესაბამისად განახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო რეაგირებას მოახდენს შეფასების შედეგებზე. ასევე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის შედეგები იყოს გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისათვის.

დასტურდება:

- განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი)და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით;

2.9. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

2.სტანდარტი - მატერიალური რესურსი - დაკმაყოფილებულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

შეფასება:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები. გადამოწმების შედეგად დადგინდა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________ ბ.ა.

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

რომ დაწესებულებას ზუგდიდში ჰყავს დასამატებელი პროგრამების განმახორციელებელი პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი - 23 (ოცდასამი), ხოლო სენაკში - 14.

პირადი საქმეების გადამოწმებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულების ადმინისტრაციული და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დაწესებულების რეესტრში (evet.emis.ge), ასახულია ინფორმაცია პროგრამების, პერსონალის, პროფესიული მასწავლებლების შესახებ. ვიზიტის პერიოდში რეესტრის მონაცემით ირიცხებოდა 464 სტუდენტი და 130 პროფესიული მასწავლებელი.

დასტურდება:

- დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების წესით, (ბრძ. N2, 2013 წლის 13 აპრილი);
- კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეებით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებული მომსახურებისა და შრომითი ხელშეკრულებებით.

3.1. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

**3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი**

**შეფასება:**

საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის განმახორციელებელი 14 (სენაკში) და 23 (ზუგდიდში) პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი, ვიზიტის დროს გადამოწმდა მათი პირადი საქმეები. 3.1 ქვესტანდარტის შესაბამისად, დაწესებულებას, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

დასტურდება:

- პროგრამის განმახორციელებელ პირთა/პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
  პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებული მომსახურებისა და შრომითი ხელშეკრულებებით.

3.2. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

3.3 დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა

შეფასება:

დაწესებულების პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადეკვატურია. პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, ითვალისწინებს უსდ თითოეულ პროგრამაზე სტუდენტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იყო - 464, ხოლო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირთა/პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობაა - 130. პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა პროგრამებთან და სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით ადეკვატურია.

3.3. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

დასტურდება:

- პროგრამის განმახორციელებელ პირთა/პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით.

3.4 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

შეფასება:
პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა/დანიშვნა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადებულია შრომითი ხელშეკრულებები.

დასტურდება:

- ხელშეკრულებებით;
- რექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტებით.

*3.4. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია*

- პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული მომსახურებისა და შრომითი ხელშეკრულებებით.

*სტანდარტი 3 - ადამიანური რესურსები - დაკმაყოფილებულია*

IV. თანდართული დოკუმენტაცია

**დანართი №1** – 2017 წლის 30 სექტემბრის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №45 ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და მათ დანართებში ტექნიკური უზუსტობის გასწორების, ცვლილებების შეტანისა და მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ; (2 ფურცლად);
**დანართი №2** – სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2017 წლის 2 აგვისტოს ბრძანება N02-01/16 სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების შესახებ (2 ფურცლად);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

სულ - 4 ფურცელი

27.10.2017 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

----------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________ ბ.ა.